## ცვლილებები ძალაშია 01/09/2015–დან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. საბანკო მომსახურების პირობების მე-$7^1$ მუხლის (პასიური ანგარიშების მომსახურება და დახურვა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. პასიური კლიენტების ანგარიშებზე კონტროლის გამკაცრებისა და არასანქცირებული საბანკო ოპერაციებისაგან თავდაცვის მიზნით პასიურ ანგარიშებზე იკრძალება აქტიური ოპერაციების ჩატარება, გარდა კლიენტის ან მესამე პირის მიერ პასიურ ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციისა.“

2. საბანკო მომსახურების პირობების მე-$7^1$ მუხლის (პასიური ანგარიშების მომსახურება და დახურვა) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„8. პასიური ანგარიშების მომსახურების საკომისიო დაერიცხება:

ა) თითოეულ პასიურ მიმდინარე ანგარიშს;

ბ) ფიზიკური პირების შემთხვევაში:

ბ.ა) თითოეულ პასიურ შემნახველ (მათ შორის ჩემი ყულაბის) ანაბრის ანგარიშის, რომელზეც კალენდარული თვის ბოლოს ნაშთი ნაკლებია 300 ლარზე / 200 აშშ დოლარზე / 200 ევროზე;

ბ.ბ) თითოეულ ნაშთიან პასიურ ანაბრის სატრანზიტო ანგარიშს, რომელზეც კალენდარული თვის ბოლოს ნაშთი ნაკლებია 200 ლარზე / 100 აშშ დოლარზე / 100 ევროზე;

გ) იურიდიული პირების შემთხვევაში:

გ.ა) თითოეულ პასიურ შემნახველ ანაბრის ანგარიშის, რომელზეც კალენდარული თვის ბოლოს ნაშთი ნაკლებია 1 000 ერთეულზე.“

3. საბანკო მომსახურების პირობების მე-$7^1$ მუხლის (პასიური ანგარიშების მომსახურება და დახურვა) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„9. პასიური კლიენტის, როდესაც კლიენტის ყველა ანგარიში პასიურია, ანგარიშების გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ კლიენტის ან კლიენტის უფლებამოსილი პირის ბანკში გამოცხადების შემთხვევაში. პასიურ ანგარიშზე რაიმე აქტიური ოპერაციის განხორციელება არ იწვევს პასიური ანგარიშის და/ან პასიური კლიენტის ავტომატურად გააქტიურებას.“

4. საბანკო მომსახურების პირობების მე-13 მუხლის (ზრდადი ანაბარი) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5. 01/09/2015-მდე გაფორმებულ ზრდადი ანაბრის ხელშეკრულებებზე ვრცელდება შემდეგი პირობა: ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე სავალდებულოა შენატანის განხორციელება (განთავსება) მინიმუმ 10 ერთეულის ოდენობით (ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ) ანაბრის ვალუტაში. კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე განთავსებული თანხების ჯამური ოდენობა არ უნდა იყოს

სავალდებულო შენატანის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. ყოველთვიური სავალდებულო შენატანის მოთხოვნა არ ვრცელდება ანაბრის გახსნის და დასრულების თვეებზე.“

5. საბანკო მომსახურების პირობების მე-13 მუხლის (ზრდადი ანაბარი) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს $5^1$ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„$5^1$. 01/09/2015-დან გაფორმებულ ზრდადი ანაბრის ხელშეკრულებებზე ვრცელდება შემდეგი პირობა: ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე სავალდებულოა შენატანის განხორციელება/ განთავსება (ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ) ანაბრის ვალუტაში - ლარში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში მინიმუმ 100 ლარის ოდენობით, ხოლო დოლარში ან ევროში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში მინიმუმ 50 აშშ დოლარის ან ევროს ოდენობით. კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე განთავსებული თანხების ჯამური ოდენობა არ უნდა იყოს სავალდებულო შენატანის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. ყოველთვიური სავალდებულო შენატანის მოთხოვნა არ ვრცელდება ანაბრის გახსნის და დასრულების თვეებზე.“

6. საბანკო მომსახურების პირობების მე-14 მუხლის (საბავშვო ანაბარი) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და თანხის გატანის უფლება არ აქვს კონტრაჰენტს. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და თანხის გატანის უფლება აქვს უშუალოდ მეანაბრეს, თუ ის ემანსიპირებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მის ერთ-ერთ კანონიერ წარმომადგენელს.“